წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N 7

2023 წლის 25 მაისი

ქ. წალენჯიხა

2023 წლის 25 მაისი გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ გაბელია, ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი: გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა კეკუა. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გიორგი გოგიბერიძე,მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ელენე ბერაია, საკრებულოს აპარატის უფროსი და თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12^{00} სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 12^{30}საათზე

სხდომის თავმჯდომარემ ავთანდილ გაბელიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით, რომელიც ღია კენჭისყრით, დამტკიცდა ერთხმად (განკარგულენა N10)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი:**ავთანდილ გაბელია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე

2.ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: **ელენე ბერაია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

3.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვარი №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **გიორგი გოგიბერიძე**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

4.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **გიორგი გოგიბერიძე**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

5. **„2020-2021** წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის შესახებ“,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში გასატარებელი ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: **რომან კვარაცხელია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6.სხვადასხვა

მოისმინეს: 1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ელენე ბერაიამ, მან განმარტა, რომ 2023 წლის 1 აპრილს საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შეტანილმა ცვლილებამ აუცილებელი გახადა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში ასახვა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებმა დავით ბელქანიამ და ბესიკ ფარცვანიამ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ხმაურის აკრძალვის სანქცირებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ამას

სჭირდება სპეციალური ხმაურის დონის დამარეგულირებელი ტექნიკა (დეციბელი), აუცილებელია მისი შეძენა, რათა მიღებული წესი დაინერგოს პრაქტიკაში.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, ავთანდილ გაბელიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 18 დეპუტატი, (ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა კეკუა), წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება N19.

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვარი №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა გიორგი გოგიბერიძემ. მან აღნიშნა, რომ პროექტით შეტანილი უნდა იქნეს ცვლილება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და ცვლილების შესაბამისად, ორსართულიანი კაპიტალური სახლის სრული დაზიანების დაფინანსების მაქსიმალური ზღვარი იზრდება, ნაცვლად 15 000-სა 20 000-ლარამდე. ფინანსური თვალსაზრისით ცვლილება არ გამოიწვევს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ ავთანდილ გაბელიამ გამოთქვა მოსაზრება ორსართულიანი კაპიტალური სახლის სრული დაზიანების დაფინანსების ქვედა ზღვარი 10000-დან გაიზარდოს 15000-მდე, რასაც საკრებულოს სხვა წევრებიც დაეთანხმნენ. საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ აღნიშნა, რომ ცვლილებები არის განსახორციელებელი დაზიანებული ერთსართულიანი კაპიტალური სახლის დაფინანსებაშიც. სხდომაზე აღნიშნა, რომ ვინაიდან, აღნიშნული საკითხი დაკავშირებულია ადგილობრივ ბიუჯეტთან, შესასწავლია პროექტის შესაბამისობა გათვალისწინებულ თანხასთან, მერიის საფინანსო სამსახურის დასკვნისა და თვითონ მერის თანხმობის გარეშე მიზანშეუწონელია წარმოდგენილ პროექტში ცვლილების განხორციელება საკრებულოს ინიციატივით. გათვალისწინებით ამისა, საკრებულომ გადაწყვიტა, რომ პროექტისთვის წარმოდგენილი სახით ეყარა კენჭი. ამასთან აღინიშნა, რომ მერიამ იმუშაოს საკრებულოში გამოთქმულ წინადადებებზე და უახლოეს სხდომაზე წარმოადგინოს პროექტი ამის გათვალისწინებით.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა წინადადება და შენიშვნა არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარე ავთანდილ გაბელიამ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 18 დეპუტატი, (ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა კეკუა), წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვარი №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N20.

მოისმინეს: 3.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა გიორგი გოგიბერიძემ. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილება გამოწვეულ იქნა "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში შესულმა ცვლილებებმა, რომელიც უნდა აისახოს ბიუჯეტის პროგრამულ ნაწილში.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, ავთანდილ გაბელიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 18 დეპუტატი, (ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა კეკუა), წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N21.

მოისმინეს: 4. „2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის შესახებ“,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში გასატარებელი ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რომან კვარაცხელიამ.

გეგმა მოიცავს 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის შესახებ“,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში გასატარებელ ღონისძიებებს.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ, ავთანდილ გაბელიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 18 დეპუტატი, (ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა კეკუა), წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა „2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის შესახებ“,სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში გასატარებელი ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების თაობაზე განკარგულება N11.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ავთანდილ გაბელია